ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 66 (19508) ◆ შაბათი, 15 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ

ნელი ნავროზაშვილმა ქუთაისის 88-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მეორე საამქროში.

კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომლის აქტიური წევრია სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, ახალგაზრდა კომუნისტი ნელი ნავროზაშვილი, მეთერთმეტე ხუთწლედი ორთვე-ნახევრით ადრე შეასრულა და ახლა ახალი, მეთორმეტე ხუთწლედის მაისის ანგარიშში შრომობს.

ყრილობიდან დაბრუნებული დელეგატი. ახალი მონდომებით, 120-130 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმას, ცდილობს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია გამოუშვას.

სურათზე: ნელი ნავროზაშვილი.

ვ. გენგბიურის ფოტო.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსი

ღონის აგრომრეწვის მშრომელთა საქმეები და ფიქრები დაკავშირებულია სკკპ XXVII ყრილობასთან, მის ისტორიულ გადაწყვეტილებებთან. წარმოების სტაბილური ზრდის მიღწევა, სასურსათო პროდუქტებითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფა — აი მათი ძირითადი ამოცანა. ამოცანა, რომელიც უმოკლეს ვადებში უნდა გადაწყვიტონ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა სოფლისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებისათვის. განმტკიცდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობთაშორისო და გადამამუშავებელი საწარმოების ეკონომიკა, გაიზარდა მიწათმოქმედების, მეცხოველეობის პროდუქტიულობა. წინსვლა იგრძნობა, მაგრამ, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევა, მაინც ყოვნდება. აგრარულ სექტორში საჭიროა მტკიცე გარდატეხა. ეგ იგი უნდა განვახორციელოთ უკვე მეთორმეტე ხუთწლედში.

ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გავზარდოთ 250-255 მილიონ ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 92-95, კარტოფილისა — 90-92, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურებისა — 40-42 მილიონ ტონამდე. ხორცის წარმოება (ნაკლავის წონა) შეიდგენს დაახლოებით 21, რძისა — დაახლოებით 106-110 მილიონ ტონას, კვერცხისა — დაახლოებით 80-82 მილიარდ ცალს. მნიშვნელოვნად გადიდდება ისეთი კვების პროდუქტების ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება, როგორიცაა ხორცი, რძე, ბოსტნეული, ხილი. ოჯახერ და მეტად უნდა დავაჩქაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპი.

შეგვიძლია თუ არა ამის მიღწევა? შეგვიძლია და კიდევაც უნდა მივაღწიოთ. ყრილობამ შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ეფექტიანობის გადიდება. უწინარეს ყოვლისა მტკიცდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სოფლები ხუთწლეულში მიიღებენ 1900 ათას ტრაქტორს, 1600 ათას სატვირთო ავტომობილს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობას, მათ შორის მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის, — სულ ცოტა 42 მილიარდ მანეთისას. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ბრუნვაში მოეკცევა დაახლოებით შვიდი მილიონი ჰექტარი ხარნყავი და დაშრობილი მიწები. გაიზრდება კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა მასშტაბი, მელიორირებული ფართობების უკუგება და წყალსამეურნეო მშენებლობის ხარისხი. გაფართოვდება ორგანული, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, აგრეთვე ფერმებისათვის საკვები დანამატების, კონსერვანტების წარმოება და გამოყენება.

მთლიანად უნდა გამოიყენოთო მძლავრი პოტენციალი, ძალებსა და სახსრებს თავი მოვუყაროთ იქ, სადაც ისინი უმტეტს ეფექტს მოგვცემენ. უწინარეს ყოვლისა უნდა შეექმნათ სოფლის მეურნეობის სტაბილური გაძღოლის პირობები. ეს გულისხმობს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული ზონალური, ნიადაგდამცავი სისტემების თანამიმდევრულ ათვისებას, საოფლო ფართობების სტრუქტურის სრულყოფას. ახეთ ღონისძიებათა შედეგი უნდა გახდეს მარცვლეულის — ქვეყნის სასურსათო და საფურაჟე ფონდების შექმნის საფუძველის — წარმოების განუხრელი ზრდა. უნდა გავადიდოთ ღონეები ხორბლისა და თავთუხის, სამარცვლე პარკოსანი კულტურების, სიმინდის, ბურღულეულის, განსაკუთრებით წიწიბურას წარმოება. უნდა განვაგრძოთ სარწყავ მიწებზე მარცვლეულის გარანტირებული მოგების მსხვილი ზონების შექმნა, უკეთ გამოიყენოთ ქვეყნის მარცვლეულის რეგიონების შესაძლებლობანი. როგორც ყრილობაზე აღინიშნა, უდიდესი რეზერვებია ინტენსიურ ტექნოლოგიათა ფართო გამოყენებაში. მარტო ჭარშან მათმა ათვისებამ შესაძლებლობა მოგვცა დამატებით მივგეღო 16 მილიონი ტონა მარცვლეული, დიდძალი სხვა პროდუქცია. წარმოების სტაბილურობის, ეფექტიანობის გადიდებაში განსაკუთრებული როლი ეთმობა მეცნიერებას, ჰეტადრე მოსავლიანი ჯიშებისა და ბიბრიდების, პროდუქტიული ჯიშის პირუტყვის შექმნაში, საკვებწარმოების ინტენსიფიკაციაში.

სასურსათო ფონდის შევსების უახლესი, ძალზე საგრძნობი წყაროა დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების, მიტანის, შენახვისა და გადამუშავების დროს. საკმარისია ითქვას, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სოფლები ხუთწლეულში მიიღებენ 1900 ათას ტრაქტორს, 1600 ათას სატვირთო ავტომობილს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობას, მათ შორის მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის, — სულ ცოტა 42 მილიარდ მანეთისას. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ბრუნვაში მოეკცევა დაახლოებით შვიდი მილიონი ჰექტარი ხარნყავი და დაშრობილი მიწები. გაიზრდება კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა მასშტაბი, მელიორირებული ფართობების უკუგება და წყალსამეურნეო მშენებლობის ხარისხი. გაფართოვდება ორგანული, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, აგრეთვე ფერმებისათვის საკვები დანამატების, კონსერვანტების წარმოება და გამოყენება.

ბოლოს და ბოლოს

მეწინავეობენ კომუნისტები

საყურადღებო განწყობილებაა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურამანგანუმის“ კოლექტივში კონკრეტულ ციფრებსა და ფაქტებში აისახა. ჯერ კიდევ იმ წლის, მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო წლის დასასრულს მკვეთრად იმატა მაღაროელთა შრომის ტემპმა, რასაც შედეგად მოჰყვა შარშანდელი წლის და საერთოდ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმავალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება, ამ წარმატებისათვის კოლექტივს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

დაიწყო ახალი სამეურნეო წელი, ყოველი დღე საბჭოთან, კომუნისტთა დიდ ფორუმს გვაახლოებდა. არ შეიძლებოდა ეს სულისკვეთება კონკრეტულ საქმეებში არ ასახულიყო და ასეც მოხდა — იშვა თათსნობა — „იანვარ-თებერვლის გეგმა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეესრულოთ“ პირობა პირნათლად შეასრულეს სტალინის, კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოებმა და ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივებმა. ორი თვის გეგმა ამ დღისათვის შეასრულა სულ 18 უბანმა, 29 ცვლამ, 28 ბრიგადამ, 3463 მუშამ, მათ შორის გამოირჩევიან სოციჯიბრის გამარჯვებულნი, ცნობილი მაღაროელები, კომუნისტები გ. ბაქრაძე, გ. გამგებელი, გ. კაკაბაძე, გ. ტყეშალაძე, გ. ხარშილაძე, ძმები ცერცვაძეები და სხვები.

ახლა როდესაც გაერთიანების საწარმოო ერთეულების პარტიულ ორგანიზაციებში შემდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის მასალების შესწავლა, ნათელი გახდა, რომ მშრომელებს გაუჩნდათ მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ისინი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, ყრილობის დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ დებულებებს და დასკვნებს, საზღვრავენ თავიანთ ჰორიზონტებს, კისრულობენ გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს, გაერთიანების პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები შეუდგნენ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველყოფისათვის პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების შემუშავებას.

გაერთიანების კოლექტივი, როგორც ნედლეულის მწარმოებელი საწარმო, დიდი ამოცანების წინაშე დგას მეთორმეტე ხუთწლედში. ნედლი მადნის მოპოვება საშუალოდ წელიწადში 300-400 ათასი ტონით, ხოლო მაღალი ხარისხის კონცენტრატების გამოშვება 720 ათას ტონამდე უნდა გაიზარდოს. ამის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდაზე და ჩვენი ყურადღებაც ამას ეპყრობა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის და გაერთიანება „ჭიათურამანგანუმის“ სპეციალისტებმა შეიმუშავეს კარბონატული კონცენტრატების გამდიდრება-გამოწვის გრავიტაციული მეთოდი, რომელიც ღარიბი მადნებიდან მაღალი ხარისხის მეტალურგიული კონცენტრატის მიღების საშუალებას იძლევა. ამისათვის წელს საცდელი საამქროს აშენება მოგვიწევს.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ამოცანა ის არის, რომ ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად შემოქმედებითად განვითაროს პარტიული მუშაობის სტილი, დასახოს ღონისძიებანი პარტიული ჯგუფების, საამქრო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის, კადრების პასუხისმგებლობის გაზრდისათვის, საფუძვლიანად შეასწავლოს მშრომელს სკკპ XXVII ყრილობის მასალები.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი ურიგოდ არ დაგვიწყია. ორ თვეში გეგმის გადამეტებით გამოვუშვით 656.000 მანეთის საერთო პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია ასევე ზეგეგმით 303 ათასი მანეთის პროდუქცია. კარგი დასაწყისი წარმატების იმედს გვიღვივებს, ტემპს არ შევანელებთ, პირიქით ახალ-ახალი რეზერვების ძიება და შრომითს კოლექტივში შექმნილი საერთო ატმოსფერო შეგვაძლებინებს ახალ წარმატებათა მიღწევას.

ლ. გამყრელიძე,
საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ პარტიული კომიტეტის მდივანი.

განუწყვეტელად ვიღვაწოთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის!

დელეგატი ფიქრობს, ეფიქრება

კარგი შედეგები დაანგეს

ტყიბულელი მეშახტეები შეუნელებელი ინტერესით დაეგებნენ თვალს სკკპ XXVII ყრილობის მუშაობას. არ ყოფილა სხდომა, რომ მათ ტელევიზორი არ ენახათ ან რადიოთი არ მოესმინათ. ეს დიდი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ დიდ ფორუმზე მათი კოლექტივის წევრიც იყო — სამთო-მოსაშაბიელი უბნის გვირახბგამყვანთა რგოლის ხელმძღვანელი ჯუმბერ გედეონის ძე გაბელაშვილი.

მეგობრები მოუთმენლად ელოდნენ ყრილობის დელეგატის დაბრუნებას, რათა მისი უშუალო შთაბეჭდილებები მოესმინათ. ჯუმბერ გაბელაშვილსაც მოუხარია და მშობლიურ შახტში. და ეს ბუნებრივია. ვის უნდა გაუზიარო მოსკოვში ყრილობაზე ნანახი და განცდილი, თუ არა შენს ამხანაგებს? და აი, დელეგატი მშობლიურ სტალინის სახელობის შახტში დაბრუნდა.

მეშახტეები კარგი მაჩვენებლებით დახვდნენ ყრილობაზე წარგზავნილს. შახტმა გადაჭარბებით შეასრულა საყრილობოდ ნაკისრი ვალდებულება და ორი თვის გეგმის გადამეტებით 1326 ტონა საკოქსე ქვანახშირი ამოიღო. განსაკუთრებით ისახელა თავი იმ რგოლმა, რომელსაც ჯუმბერ გაბელაშვილი მეთაურობს. გამყვანებმა ორი თვის გეგმა ყრილობის წინა დღეს — 24 თებერვალს შეასრულეს და ყრილობის მუშაობის დღეებში გრაფიკის გასწრებით შრომობდნენ. ამხანაგებმა თავიანთ დელეგატს ეს დიდი წარმატება მოსკოვში დეპეშით აცნობეს.

— მიჭირს, მე, მუშაკაცს, მოვძებნო სიტყვები და გადმოგცეთ ის დიდი შთაბეჭდილება და სიხარული, ყრილობის მიმდინარეობის დღეებში რომ განვიცადე, — უთხრა ჯ. გაბელაშვილმა თანამოსაუბრეებს, — ასი წელი რომ ვიცოცხლო, ეს განცდილი ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოშლება. თქვენ კარგად მიცნობთ, და ისიც იცით, სიტყვის დიდი ოსტატი არასოდეს ვყოფილვარ, ლაპარაკს ყოველთვის სანგრევში მუშაობას ვამჯობინებ, მაგრამ ახლა სათქმელი და სალაპარაკო მართლაც ძალიან ბევრი მაქვს...

ყრილობათა დიდ სასახლეში, სადაც ეს დიდი ფორუმი მიმდინარეობდა, დაძაბული ყურადღებით ვუსმენდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის ღრმაშინაარსიან მოხსენებებს და ყრილობის დელეგატთა გამოსვლებს. დელეგატის ბლოკნოტში ვინიშნავდი ყველა ციფრს და მნიშვნელოვან წინადადებებს, რომლებიც უშუალოდ ჩვენს მუშაობას უკავშირდება, რათა შემდგომ ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში გამომეყენებინა. ერთხელ კიდევ თვალწინაღიგ დავრწმუნდი, რაოდენ ზრუნავენ მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ადამიანის კეთილდღეობისათვის, ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მეთორმეტე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას. ამ მიმართულებით 200 მილიარდ მანეთზე მეტი დაიხარჯება — ეს წინა ათ წელიწადში გამოყოფილზე მეტია. როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხის გაუმჯობესებას, ნაწარმი საწყობისათვის კი არ უნდა მზადდებოდეს, არამედ ადამიანებისათვის. ვერც ჩვენ შევურჩდებით უხარისხო ქვანახშირის ამოღების შემთხვევებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვაწყდებით. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ შრომის ნაყოფიერების გასაღიდებლად. ამ მხრივ ჩვენც სერიოზული დაფიქრება გვეჭირდება. მეთორმეტე ხუთწლედში გაიზრდება მუშების, ჰოსპმსახურეების და კოლმეურნეების ანაზღაურება, გათვალისწინებულია შრომის პირობებისა და მისი დაცვის შემდგომი გაუმჯობესება. ყოველივე ეს ბევრს გვავალებს მეშახტეებს.

ყრილობის დღეებში ვხვდებოდი ქვანახშირის მრეწველობის დარგის დიდ საწარმოთა ხელმძღვანელებს, ვესაუბრებოდი რიგით მეშახტეებს ქვანახშირის ამოღების საჭირობოროტო საკითხებზე, ვუზიარებდი ჩემი მუშაობის გამოცდილებას და მათგანაც ბევრი რამ ახალი შევიძინე. ვიყავი სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროში, ჩვენ გვესაუბრნენ სამინისტროს ხელმძღვანელი ამხანაგები. აქ დელეგატებმა ბევრი საკითხი დააყენეს და მოითხოვეს მათი ოპერატიული გადაჭრა. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ორგზის სოციალისტური შრომის გმირთან, ლეგენდარულ მეშახტესთან ა. ჩიხთან შეხვედრამ და საუბარმა.

წარმატებით რომ შეავსრულოთ მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანები, თითოეულმა ჩვენგანმა შემოქმედებითად უნდა იშრომოს, ყველაფერი იღონოს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

ასე დაამთავრა თავისი საუბარი ჯუმბერ გაბელაშვილმა. და ყველამ, ვინც მას უსმენდა, პირობა დადო, რომ იმუშავებდნენ დამკვრელურად, სტახანოვურად.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა ახალი გადიდებული ვალდებულება აკისრა, მეშახტეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა ქვანახშირის ამოღების წლევანდელი წლის გეგმა ვადაზე ექვსი დღით ადრე 25 დეკემბრისათვის შესასრულონ.

ვ. ციბეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „...ყველა ჩვენი წარმატების უმტკიცესი გარანტია მუდმივი ზრუნვა სოციალის მშრომელების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის“. ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის როგორ ზრუნავენ და რას აპირებენ წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, ამას მოგვითხრობს ეს წერილი.

სოფელმა იცის — ქალა ერთოგზაუია!

სოფელს შუაში მოასფალტებული საავტომობილო გზა ჩაუდის, რომელსაც ორივე მხარეს ჩაის პლანტაციები გასდევს. ამ ცოტა ხნის წინათ აქ ყველაფერი ზამთრის სამოსში იყო გახვეული. ახლა კი კვირტები გაუშლია და თეთრად გადაპენტილა ტყემალი, ბალი, ალუბალი, ატამი, ალუჩა, სხვა ხილი. კვირტები დასკდომია ბროწეულსაც...

თვალს ხიბლავს, გულს ახარებს არა მარტო სოფლის ცენტრის, არამედ მისი ყველა უბნის გამწვანება-განაშენიანება. ოთხი კაპიტალური სასურსათო და სამრეწველო მაღაზია, ორსართულიანი სამაგვიო ბაღი 100 ბავშვისათვის, რესტორანი, საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმი, ორსართულიანი კლუბ-კინტორა, მუზეუმი ცის ქვეშ, მეჩაიეთა დასასვენებელი სახლები, სასადილოები, თონე, მანქანა-ტრაქტორთა პარკი, წისქვილები, ასფალტის ქარხანა. ყოველივე ეს უკანასკნელ 7-8 წელიწადში გაკეთდა. მაშინ, ახალმა თავმჯდომარემ, გამოცდილმა პარტიულმა და სამეურნეო მუშაკმა ღ. ჭანტურიამ უპირველეს საზრუნავად გაიხადა სოფლის სოციალური გარდაქმნა, მშრომელი კაცის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ყოველივე ამას ასითასობით მანეთი დასჭირდა.

შრომისმოყვარე ადამიანებმა კარგი წინამძღოლის ხელში შრომა გაარკვეცეს. დღენიადაგ გულდაგულ ირჯებიან. იმატა ხვავმა და ბარაქამაც. მეათე ხუთწლედის პირველ წელს კოლმეურნეობაში მოიკრიფა 1.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო წელს — 3.265 ტონა. 1976 წელს 56 საფურაქე ძროხა ჰყავდათ, თითოეულზე მაშინ 800 კილოგრამი რძე მიიღეს. შარშან კი 90 ძროხას უვლიდნენ და თითოეულის წველადობამ 3.133 კილოგრამი შეადგინა. ისიც აღსანიშნავია, რომ შარშანწინდელთან შედარებით შარშან საერთოდ რძის წარმოება გაიზარდა 791 ცენტნერით, ხორცისა — 111 ცენტნერით, თითოეული ძროხის წველადობა — 104 კილოგრამით. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეთა 40 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, და ეს იმ დროს, როცა საგეგმო დავალება 28,5 ცენტნერს ითვალისწინებდა. მიღწევებია სხვა დარგებიც, კოლმეურნეობამ შარშან 3 მილიონ 395 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

ახლა პირადი მაგალითის ძალას არ იკითხავთ! ჩვენ ნათლად ვხედავთ ამ სოფელში დიდ შემართებას. ეს არის მაღალი ზნეობრიობა, მეგობრობა, ვაჟკაცობა, ნათელი ხვალინდელი დღის რწმენა. მიუხედავად მოსახლეობის სიმცირისა, რაიონში ორჯონიკიძე ეკონომიკურად ერთ-ერთი მძლავრი და სახელგანთქმული სოფელია. კოლმეურნეობაში ბევრი ძველი და ახალი გვარდიის ნოვატორი მეჩაიე, მეცხოველე, მესიმინდე, საკვებდამამზადებელია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ბარაქალა მათს შრომას!

ახალი გვარდიის წარმომადგენელზე — მეჩაიე-მექანიზატორზე, სოციალისტური შრომის გმირზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატზე მზია ქარდავაზე ბევრჯერ და ბევრი რამ დაწერილა. მზია ქარდავამ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც რამდენიმე წელს კვლავ მეჩაიე-მექანიზატორად იმუშავა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ღ. ჭანტურიამ კომუნისტებს ამ ორი წლის წინათ ურჩია, მზია აერჩიათ თავიანთ ხელმძღვანელად. ამჟამად იგი კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანია და მხარში უდგას კოლმეურნეობის გამგეობას ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტაში.

დამრიგებელი, ახალი თაობის აღმზრდელი, ორი ვაჟიშვილის დედა, კარგი მეუღლისა და ოჯახის პატრონი.

კოლმეურნეობის კლუბისა და კანტორის, საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმის, ახალი მეცხოველეობის კომპლექსისა და რესტორნის ეზოებში, სულ ხუთ ჰექტარ ფართობზე გაშენებიათ კულტურისა და დასვენების პარკები, სადაც დარგულა სხვადასხვაგვარი 3 ათას ძირზე მეტი ხე და ბუჩქი. პარკებს ლამაზი სასეირნო ბილიკები ამშვენებს, მოწყობილია მიმზიდველი გაზონები, აშენებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები; სოფლის ეთნოგრაფიული ელფერის საჩვენებლად პარკებში ჩადგმულია ჯარგვლები, ფაცხები, წყლის წისქვილები, მარნები, სასიმინდეები, რაც ისედაც კეთილმოწყობილ დასასვენებელ ადგილებს უფრო მიმზიდველს ხდის. ყველა კუთხე-კუნჭულს კარგი დეკორატორის ხელი ანჩია. სოფლის ახალგაზრდობისთვის აქ საუკეთესო პირობებია შექმნილი. ახალგაზრდობა ლუსტრიული კონცენტრატის მიღების საშუალებას იძლევა. ამისათვის წელს საცდელი საამქროს აშენება მოგვიწევს.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ამოცანა ის არის, რომ ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად შემოქმედებითად განვითაროს პარტიული მუშაობის სტილი, დასახოს ღონისძიებანი პარტიული ჯგუფების, საამქრო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის, კადრების პასუხისმგებლობის გაზრდისათვის, საფუძვლიანად შეასწავლოს მშრომელს სკკპ XXVII ყრილობის მასალები.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი ურიგოდ არ დაგვიწყია. ორ თვეში გეგმის გადამეტებით გამოვუშვით 656.000 მანეთის საერთო პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია ასევე ზეგეგმა სხვადასხვა ნაწარმი 3 ათასი მანეთის ოდენობით. ეს ფაქტი ბევრ ადგილობრივ ბიზნესმენს ეფიქრებინებს, ეფიქრებინებს, ეფიქრებინებს...

ასევე ფიქრობს და მსჯელობს, შრომობს რაიონის კიდევ ერთი წარჩინებული მუშაკი, პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის ელექტროშემდუღებელთა კომპლექსური ბრიგადის წევრებს შეურცხვენიათ თავი, წლევანდელი ორი თვის გეგმები საყრილობოდ გაანაღდეს, თვით ყრილობის გახსნის დღეს კი დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავეს. ასე რომ, სასაყვედურო მაინცდამაინც არაფერი გვაქვს, მაგრამ, დამერწმუნეთ, ახლა, როდესაც ყრილობიდან დავბრუნდი, მაინც სულ სხვა თვალით ვუყურებ ჩვენს ნაოვაწს და ვრწმუნდები, რომ გუშინდელი თუნდაც კარგი მუშაობა დღეს არ კმარა, ხვალისათვის კი საერთოდ არ გამოგვადგება მეკავშირედ. მართლაც ყოველმხრივი დაჩქარებაა საჭირო. არ შეიძლებოდა მოგესმინა ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოვლისმომცველი, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებით აღსავსე, ღრმაშინაარსიანი პოლიტიკური მოხსენებისათვის და მთლიანად არ დაეპყარი. უფრო პასუხისმგებლური, ნაყოფიერი მუშაობისათვის არ განეწყვე მას, აგრეთვე იმ სრული გულახდილობის, პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის, შემოქმედებითს ატმოსფეროს, რომელიც ყრილობაზე სუფევდა. სხვა გზა არ არის. უნდა დავაჩქაროთ მუშაობის გარდაქმნა, უფრო ფართოდ დავნერგოთ გარჯის პროგრესული ფორმები. მხედველობაში მაქვს თუნდაც ბრიგადული მეთოდი, რომელზეც ჩვენი კოლექტივი შარშან პირველი გადავიდა საწარმოში, და რომლის ყოველმხრივი სიკეთეც თვალნათლივ ვიგრძენით. თითოეულის და ყველას ერთობლივი პასუხისმგებლური გარჯაა საჭირო ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო და სრული განხორციელებისათვის, რაც, თავის მხრივ, ჩვენვე გვასარგებლებს...

ასევე ფიქრობს და მსჯელობს, შრომობს რაიონის ერთ-ერთი ფეხმოკიდებული ბრიგადა, ბ. ბერიძის ბრიგადა. ბ. ბერიძე ბრიგადა ბ. ბერიძეს ... ...

ისტორიები
ფაქტებში • მოვლენებში

სრულიად უკანონო ნაბიჯი

ისტორიული ნიშანსვეტი

ვარშავა. სკკპ XXVII ყრილობას ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა-სთვის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის, მთელი კაცობრიობის ბედისათვის. მან შემოქმედებითი წვლილი შეიტანა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის განვითარებასა და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში. ეს ნათქვამია სკკპ XXVII ყრილობის შედეგებისა და ყრილობის მუშაობაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მონაწილეობის შესახებ ანგარიშის თაობაზე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აქ გამართულ სხდომაზე მიღებულ განცხადებაში.

ყრილობის მიერ დამტკიცებული მოქმედების გაგდებული გრძელვადიანი პროგრამა, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, შეიცავს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრანდიოზულ და ამავე დროს რეალურ ამოცანებს. ყრილობამ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობისათვის, ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ. ამას ისახავს მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებული კონსტრუქციული წინადადებანი. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისათვის. პოლონეთში სოციალისტური მშენებლობისა და განახლების პროცესების განმტკიცება-გაღრმავების საქმეში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოთქვა რწმენა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მონაწილეობა სკკპ XXVII ყრილობის მუშაობაში ხელს შეუწყობს ორი მოძმე პარტიის, ქვეყნისა და ხალხის ინტერნაციონალური ურთიერთობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ალმაშფოთებელი არამართლზომიერი აქცია, რომელმაც მოითხოვა შემცირდეს სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის „პერსონალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, კვლავ ერთი გაერთიანების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უურადღების ცენტრშია.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფ. ჯულიანიმ განაცხადა, ხ. პერეს დე კუელიარმა გამოთქვა მზადყოფნა ხელი შეუწყოს კონსულტაციების მოწყობას წამოჭრილი პრობლემების გამო. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც შეისწავლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იურისკონსულტის მიერ მოშზადებული დასკვნა შეერთებული შტატების აქციასთან დაკავშირებით. ძირითადი დასკვნა, ხაზი გაუსვა გენერალური მდივნის წარმომადგენელმა, ის არის, რომ „მოქმედი კანონის შესაბამისად ეს საკითხი მოითხოვს სკონსულტაციების მოწყობას“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში ამ დასკვნას მიიჩნევენ ამერიკის შეერთებული შტატების აქციის დაგმობად, რომელმაც ეს აქცია მოიმოქმედა ცალმხრივი წესით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებათა თაობაზე ერების გაერთიანებისა და შეერთებული შტატების შეთანხმების საწინააღმდეგოდ. ამასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღშფოთებით შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის კ. უაინბერგერის განცხადებას ეიბი-სი ტელევიზიის კომპანიისადმი ინის თაობაზე, რომ ამერიკის ადმინისტრაცია არ გაუწევს ანგარიშს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასეთ დასკვნას, თუ იგი ხელს არ მისცემს.

გულისწყრომით დაგმო ვაშინგტონის ადმინისტრაციის პროვოკაციული მოქმედება სამხრეთ დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის მუდმივმა მეთვალყურემ ერების გაერთიანებაში თეო-ბენ გურირაბმა. „ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ ახორციელებდეს „ზარბაზნების პოლიტიკას“, განაცხადა სვაპოს წარმომადგენელმა საკდესის კორესპონდენტისათვის ინტერვიუში, მაგრამ მას ავიწყდება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ არის მისი სამკვიდრო, და თავად შეერთებული შტატები ამ წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ ერთი წევრთაგანი სახელმწიფოა. შეერთებული შტატების კონფრონტაციული ნაბიჯი მოწმობს ვაშინგტონის მტრულ დამოკიდებულებას მსოფლიო გაერთიანებისადმი, აღნიშნა თეობენ გურირაბმა. ამ ნაბიჯის სრულ უკანონობას მოწმობს ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უხეშად დაარღვია შეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებათა შესახებ, ხაზი გაუსვა სვაპოს წარმომადგენელმა.

„თვითნებურად დაწესეს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა რიცხობრივი შემადგენლობის ფარგლები, — მცდარი და უხეირო პოლიტიკა შეერთებული შტატების მხრივ, — თქვა ავტორიტეტიანმა ამერიკელმა სპეციალისტმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროფესორმა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მოადგილემ რიჩარდ გარდნერმა. — საკითხავია, როგორ იგრძნობდა თავს თვით ამერიკის შეერთებული შტატები, მაგალითად, შეეცინა ხელისუფალთ რომ მეეთითებინათ, რა რაოდენობის თანამშრომელთა შტატი შეიძლება ჰყავდეს ამერიკას მოლაპარაკებაზე, ეენევაში რომ მიმდინარეობს შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხებზე?“

სსრ კავშირის წარმომადგენლობის მიმართ ვაშინგტონის ცალმხრივი აქციების არამართლზომიერი ხასიათი აღნიშნა ამერიკის საერთაშორისო სამართლის საზოგადოების ადმისრულებელმა დირექტორმა ჯონ ლიურენს ჰარგროუმმა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებათა ადგილსამყოფელი ქვეყანა, თქვა მან, შეერთებული შტატები დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ თავად „იცავდეს წესებს და არ მოქმედებდეს თვითნებურად“.

ანტანანარივუ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველნაირად ცდილობს დაბარკოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმალური მუშაობა და საამისოდ ყველაფერს კადრულობს, წერს მადაგასკარის დამოუკიდებლობის კონგრესის პარტიის ორგანო გაზეთი „ომუნგუ ვაუვაუ“. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უბოდიშო მოთხოვნა 40 პროცენტით შემცირდეს სსრ კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მუდმივ წარმომადგენლობათა პერსონალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აღნიშნავს იგი, ეწინააღმდეგება საერთაშორისო შეთანხმებებს და ერების გაერთიანების წესდებას. იგივე შეიძლება ითქვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკრედიტებულ სოციალისტური სახელმწიფოების დიპლომატთა მიმოსვლაზე წინათ დაწესებული დისკრიმინაციული შეზღუდვების თაობაზეც.

სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლობათა წინააღმდეგ, წერს გაზეთი, ვაშინგტონი წარმართავს სპეცსამსახურების საქმიანობას, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ და არ ერიდებიან თვით ტერორისტულ აქციებს — ბომბების ჩადებას, ბინების დაწვას, ვანდალიზმის აქტებს, დაუფარავ ძუქარას.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში სამართლიანად დგება საკითხი, თუ რაშდენად მიზანშეწონილია დარჩეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინა ქვეყანაში, რომელიც არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ამ ორგანიზაციის წინაშე, ხაზს უსვამს „იმუნგუ ვაუვაუ“. საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელთა მიმართ მართლსაწინააღმდეგო აქციები კვლავაც რომ გაგრძელდეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვეღარ შეძლებს წარმატებით შეასრულოს თავისი ფუნქციები.

ბრატისლავა. ვაშინგტონის აქციამ კვლავ უჩვენა მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დიდად არ იტკივებს თავს იმით, რომ დაიცვას საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა ასპექტები, წერს ბრატისლავის გაზეთი „პრავდა“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის პერსონალის რიცხოვნობის შემცირების მოთხოვნა, ხაზს უსვამს გაზეთი, სცილდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უფლებამოსილების ფარგლებს, უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესრიგსა და ამწვავებს კონფრონტაციას.

● ზვეცია

ნეიტრალიტეტის კუბისით

სტოკჰოლმი. შვეციის მისწრაფება კვლავაც შეინარჩუნოს წესლილი მშვიდობისა და განიარაღების მიზნების მიღწევაში დაადასტურა ქვეყნის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ი. კარლსონმა.

მთავრობის განცხადება — ბუნების [illegible] პარლამენტში

რიქსდაგში (პარლამენტი) მან გააკეთა მთავრობის განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ შვეცია მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, რომელიც მშვიდობას უზრუნველყოფს ქვეყანაში და ხელს შეუწყობს სტაბილურობას ჩრდილოეთ ევროპაში.

უნდა განვახორციელოთ ყველა ღონისძიება ბირთვული ომის საფრთხის შემცირებისა და აღკვეთისათვის, თქვა მან. ამასთან დაკავშირებით ი. კარლსონმა გამოთქვა იმედი, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება გამოიწვევს ნდობის ზრდას, დაძაბულობის შენელებას, დასახავს განიარაღების გზას.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ შვეცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გამოთქვა სურვილი, რომ წარმატებით დამთავრდეს ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენციის მუშაობა.

ი. კარლსონმა პარლამენტს წარუდგინა მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობა. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი უკავია ს. ანდერსონს. თავდაცვის მინისტრისა — რ. კარლსონს.

შემდეგ, კონსტიტუციის შესაბამისად, საგანგებო თათბირზე, რომელშიც სახელმწიფოს მეთაური — შვეციის მეფე კარლ XVI გუსტავი მონაწილეობდა, მთავრობა შეიცვალა და მინისტრთა ახალი კაბინეტი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

დააპატიმრეს ეჭვმიტანილი

სტოკჰოლმი. შვეციის პოლიციამ დააპატიმრა კაცი, რომელზეც ეჭვი აქვთ, რომ მონაწილეობდა შვეციის პრემიერ-მინისტრის უ. პალმეს მკვლელობაში.

„იგი დააკავეს 12 მარტს დაახლოებით 20 საათზე მას შემდეგ, რაც მიიღეს ცნობები ბოროტმოქმედებაში მისი შესაძლო მონაწილეობის თაობაზე. დაკითხვის შემდეგ ამ კაცზე ეჭვი მიიტანეს, რომ მკვლელობაში მონაწილეობდა“, — განაცხადა შვეციის პოლიციის წარმომადგენელმა ლ. ჰალბერგმა.

როგორც ჟურნალისტებს ადვოკატმა ჰ. შესტრემმა აცნობა, რომელიც დაპატიმრებულს ესაუბრა, საქმე ეხება 35 წლის შვედს.

ახლო აღმოსავლეთი

აგრესორი მიმართავს ეკონომიკურ ბლოკადას

ბეირუთი. ისრაელის მხედრიონმა ბარბაროსული საარტილერიო ცეცხლი დაუშინა სამხრეთ ლიბანის 20 დასახლებულ პუნქტს, მათ შორის ქალაქ ნაბათიას. 12 მარტს მოწყობილი თავდასხმების შედეგად დაიჭრა მრავალი ადგილობრივი მცხოვრები. დაიწვა ათობით სახლი.

ქვეყნის სამხრეთი ნაწილის ოკუპირებულ რაიონში აგრესორებმა დააწესეს ზოგიერთი ზონის ეკონომიკური ბლოკადა. თითოეული დასახლებიდან ყოველდღიურად სურსათის შესასყიდად გასვლის უფლება მხოლოდ ერთ ავტომანქანას აქვს. უმკაცრესი რეპრესიები, უწყვეტი საარტილერიო სროლა და ეკონომიკური ბლოკადა, აღნიშნავენ ლიბანის გაზეთები, აიძულებენ „მბრეთ“ ლიბანის მოსახლეობას დატოვოს მშობლიური ადგილები. მაგალითად, სოფელ შემაში, სადაც წინათ სამი ათასი კაცი ცხოვრობდა, სულ 300 მცხოვრები დარჩა.

ლიბანის წინააღმდეგობის პატრიოტული ფრონტის მებრძოლებმა მთელი რიგი წარმატებითი საბრძოლო ოპერაციები განახორციელეს ისრაელ ოკუპანტთა და მათი დამჭაშების წინააღმდეგ, რომლებიც „სამხრეთ ლიბანის არმიაში შედიან“. პატრიოტთა მოქმედების შედეგად მოწინააღმდეგეს მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის საგრძნობი ზარალი.

დამასკო. ისრაელის მიერ ოკუპირებული მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ქალაქებსა და სოფლებში კვლავ გაისმის სროლის ხმა. ისრაელი ჯარისკაცები ჯავშანტრანსპორტიორებით ჩხრეკენ რამალაჰის, ჯენინის, ელ-ბირის, ბლატის ქუჩებსა და მოედნებს. არაბი მანიფესტანტების დასარბევად გამოგზავნილი დამსჯელები იყენებენ ცრემლსადენგაზიან ყუმბარებს.

როგორც სანას სააგენტო იტყობინება, განვლილ დღე-ღამეში არაბი მცხოვრებლებისა და საოკუპაციო რეჟიმის ჯარისკაცების შეტაკებები მოხდა ელჰალილის გარეუბნებში. სამხედრო სარდლობის ბრძანებით ქალაქსა და მის გარეუბნებში შემოღებულია კომენდანტის საათი. ყველგან ეწყობა მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება.

როგორც ყოველკვირეული „ალ-ჰადაფი“ მოწმობს, ახლა პალესტინელებისათვის „სპეციალურად მოწყობილი“ საპყრობილეები და საკონცენტრაციო ბანაკები გავსებულია. აქ დატუსაღებული ჰყავთ ათასობით პატრიოტი, მათ შორის არიან პროფკავშირული მოძრაობის ლიდერები, საზოგადო მოღვაწენი, ექიმები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, რომლებიც გამოდიოდნენ თელ-ავივის უკანონო ბატონობის წინააღმდეგ. მაგრამ, წერს ყოველკვირეული, იმის ნაცვლად, რომ შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები — გაათავისუფლონ მიტაცებული ტერიტორიები და გამოუშვან ყველა პატიმარი, ოკუპანტები მკვიდრდებიან არაბთა მიწა-წყალზე, ხოლო აქაური მცხოვრებლებისათვის ახალ საპყრობილეებს აშენებენ. ერთერთი ასეთი საპყრობილე შეიქმნება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის უდიდესი ქალაქის — ნაბლუსის გარეუბანში.

ისრაელის სიონისტური წრეები ცდილობენ ეკონომიკურად მოაშთონ ოკუპირებული არაბული რაიონები. ამ პოლიტიკის შედეგად სამრეწველო წარმოება აქ 40 პროცენტით და მეტად შემცირდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება — 60 პროცენტით. მთლიანად შეწყვეტილია კაპიტალური და საბინაო მშენებლობა. არაბთა შორის მატულობს უმუშევრობა, ოკუპანტები აწესებენ ახალ დამატებით გადასახადებს, რითაც პალესტინელებს უკანასკნელ ლუკმას ართმევენ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

კოსტა-რიკის მოსკოვის საელჩოს გადაეცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას კოსტა-რიკის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოსადმი და აქვს პატივი აცნობოს შემდეგი:

საბჭოთა საგამოძიებო ორგანოებმა მოაწყვეს გამოძიება მეორე მსოფლიო ომის წლებში ნაცისტურ დანაშაულობებში ბრალეული ბოგდან ივანეს ძე კოზიის მიმართ. იგი დაბადებულია 1923 წელს, არის ივანო-ფრანკოვსკის ოლქის გალიჩის რაიონის სოფელ პუკასივეის მკვიდრი, სსრ კავშირის მოქალაქე და ამჟამად კოსტა-რიკის რესპუბლიკაში ცხოვრობს.

გამოძიებით დადგინდა, რომ კოზიი 1942-1944 წლებში ჰიტლერელთა მიერ დროებით ოკუპირებულ ივანო-ფრანკოვსკის ოლქის ტერიტორიაზე პოლიციელად მსახურობდა ლისეცკის რაიონულ პოლიციაში და ეწეოდა აქტიურ სადამსჯელო საქმიანობას მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ. იგი პირადად აწამებდა და ხოცავდა ყოველად უდანაშაულო ხალხს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს.

1944 წელს, როცა ფაშისტთა ჯარები უკან იხევდნენ, ჩადენილი მძიმე დანაშაულობებისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით კოზიი ჰიტლეელებთან ერთად გაიქცა დასავლეთ ევროპაში, იქიდან კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. 1985 წელს იგი კოსტა-რიკაში აღმოჩნდა. ჰიტლერელი მკვლელის უდანაშაულობა სამართლიანად აღიშფოთებს საბჭოთა საზოგადოებრიობას, რომელიც მის გასამართლებას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მხარეს სურს კოსტა-რიკის რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება მიიპყროს საერთაშორისო სამართლის შესაბამის დებულებებს, რომელთა თანახმად ნაცისტი სამხედრო დანაშაულნი გასასამართლებლად და დასასჯელად უნდა გადაეცეს ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიაზეც ჩადენილთა მათ დანაშაულობანი.

საბჭოთა მხარე მოელის, რომ კოსტა-რიკის რესპუბლიკის მთავრობა მიიღებს ზომებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის კოზიის გადმოსაცემად, რათა მან პასუხი აგოს იქ, სადაც ჩადინა უმძიმესი დანაშაულობანი ადამიანთა წინააღმდეგ.

სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაუდასტუროს საელჩოს დიდი პატივისცემა“.

შრომა და კაპიტალი

● საფრანგეთი

მშრომელი საფრანგეთი მტკიცედ ილაშქრებს მთავრობის მიერ შემუშავებული „სამუშაო დროის რეგულირების თაობაზე“ კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც ანტიმუშური ხასიათისაა და სრულიადაც არ შეესაბამება მშრომელთა ფართო ფენების ინტერესებს.

სურათზე: მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა პარიზში. მისმა მონაწილეებმა დაგეშეს მმართველი წრეებისა და მეწარმეთა ცდა მოსპონ მუშათა მოძრაობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები.

საკდესის ფოტო.

ცენტრალური ამერიკა:

● გულისწყრომით გმობენ პროკაგანდისტულ კამპანიას ● ამერიკის უპრეცედენტო ძალადგენა ● პრეზიდენტ რეიგანის სპეციალური დესპანის ვოიაჟი.

ერთადერთი მისაღები გზა მოლაპარაკებაა

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ გულისწყრომით დაგმო რეიგანის ადმინისტრაციის პროპაგანდისტული კამპანია, რომელიც ცდილობს მიაღწიოს ახალ მრავალმილიონიან ასიგნებებს ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ ბინძური ომისათვის, რათა ჩაახშოს სანდინისტური რევოლუცია.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს არა აქვს არავითარი უფლება წყვეტდეს ნიკარაგუის ბედს. ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ნიკარაგუელები იცავენ არა მარტო თავისუფლებას, არამედ ყველა ლათინურამერიკული ქვეყნის თვითგამორკვევის უფლებასაც, რომელთაგან თითოეული ნებისმიერ მომენტში შეიძლება ემსხვერპლოს რეიგანის სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა.

დ. ორტეგამ დაადასტურა, რომ ნიკარაგუის მთავრობა გულწრფელად ესწრაფვის რეგიონში შექმნილი ავისმომასწავებელი ვითარების მშვიდობიან მოწესრიგებას, და განაცხადა, რომ თანახმაა მიიღოს მონაწილეობა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტთა თათბირში, რომელიც გვატემალაში გაიმართება მომდინარე წლის მაისში.

ვაშინგტონი. თეთრი სახლი კვლავინდებურად „ატანს ძალას კონგრესს, რათა გამოუყოს 100 მილიონი დოლარი ცენტრალური ხალხაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი სომოსელთა კონტრრევოლუციური დაჯგუფებებისათვის. პრეზიდენტთან ყოველდღიურად იძახებენ პირად აუდიენციაზე ჯგუფ-ჯგუფად თუ ცალ-ცალკე კანონმდებლებს, და უჩიჩინებენ, რომ საქმე ეხება არც მეტი, არც ნაკლები „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებას“. იმისათვის, რომ „ნიკარაგუის მხრივ შეერთებული შტატებისადმი საფრთხის“ შესახებ ყალბ მონაჩმახს დამაჯერებლობა მიანიჭონ, სახელმწიფო დეპარტამენტში მოაწყვეს ცენტრალურ ამერიკაში ვითომდა „ხალალფეევი“ საჭურვლის გამოფენა. დაგეგმილია მას პრეზიდენტი რეიგანი ეწვიოს. ამავე დროს გამოაცხადეს, რომ 16 მარტს ადმინისტრაციის მეთაური გამოვა საერთო-ეროვნული ტელევიზიით სპეციალური მიმართვით, რომელშიც კვლავ შეეხება საკითხს კონტრასების „უთუო დახმარების“ შესახებ.

მაგრამ ადმინისტრაციის უპირველესი ძალისხმევა ჯერ-ჯერობით არ მოუტანია სასურველი შედეგი. როგორც კონგრესმენმა დ. ბონიორმა თქვა, პრეზიდენტი ფაქტობრივად „ითხოვს ნიკარაგუის წინააღმდეგ ომის დაწყების უფლებამოსილებას“. წარმომადგენელთა პალატის წევრმა ე. ბოულენდმა აღნიშნა, თუ კონგრესი დაამტკიცებს ადმინისტრაციის მოთხოვნას, მაშინ „მოეხსნება ყველა შეზღუდვა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თუ პენტაგონის საქმიანობაზე“. მ. ბარნსის თქმით, რომელიც ქვედა პალატაში ხელმძღვანელობს დასავლეთი ნახევარსფეროს საქმეთა ქვეკომიტეტს, ეს თეთრ სახლს შესაძლებლობას მისცემს უკონტროლოდ გამოიყენოს „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საკმაოდ დიდი საიდუმლო ფონდი“ ნიკარაგუის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი ოპერაციების დასაფინანსებლად.

ნიუ-იორკი. ცენტრალურ ამერიკაში კრიზისის სამართლიანი მოწესრიგების ერთადერთი მისაღები გზა მოლაპარაკებაა. ეს თქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონტადორული ჯგუფის წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენელთა წერილში. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს გაეგზავნა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობისა და თანამშრომლობის აქტის ხელმოწერის შესახებ მოლაპარაკება რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს კონტადორული ჯგუფის წინადადებათა საფუძველზე. მოწესრიგების პროცესის სავალდებულო პირობაა შეწყდეს უცხოთის ყოველგვარი ინტერვენცია, აგრეთვე ჩარევა ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში, ნათქვამია წერილში.

სან-ხოსე. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ფ. ჰაბიბი, რომელიც ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობს, ჩავიდა სალვადორში, სადაც პრაიმერიკული რეჟიმის მეთაურს დღეს შეხვდება. იგი მოლაპარაკებას გამართავს აგრეთვე სალვადორის, გვატემალის, ჰონდურასისა და კოსტა-რიკის პრეზიდენტებთან ეგრეთ წოდებული „ნიკარაგუის საკითხის“ გამო.

ცენტრალური ამერიკის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ვაშინგტონის დესპანის მარშრუტიდან არის ამოღებული, ნიკარაგუაა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის უარს გამართოს მოლაპარაკება ნიკარაგუის წარმომადგენლებთან, აგრეთვე განზრახვას — კვლავინდებურად დაამყაროს მთელი იმედები სუვერენული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის შემდგომ ესკალაციაზე.

თაღლითი დოყლაპიებში

იოლი გზით ნაშოვნ ფულს ქარს ატანენ

იგი ერთხანს დამფრთხალი ჟურდღელივით ცხოვრობდა თემის დასახლებაში. ეს შემთხვევითი არ ყოფილა: რუზანა ასკარიანს ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა მკაცრი, მაგრამ დამსახურებული სასჯელით გამოწვეული სიმწარე, როცა ხულიგნობისათვის განსასჯელის სკამზე დასვეს და სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით ოთხი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

დრომ შეუმჩნევლად განვლო და ავად მოსაგონარი დღეებიც დავიწყებას მიეცა, შიშისგან ერთბაშად განმუხტა სასჯელმოხდილი ქალი და თავისთავთან მარტოდ დარჩენილი ღრმა ფიქრს მიეცა: როგორ მოეწყო მომავალი ცხოვრება, საიდან და რით დაეწყო? თაღლითობა აერჩია თუ პატიოსანი შრომით ერჩინა ოჯახი? კაცმა არ იცის, რამდენი დრო მოანდომა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ როგორც შემდგომში გამოირკვა, რუზანას ყველაზე მკითხაობის იოლი და სარფიანი გზა აურჩევია.

მიზანი? რასაკვირველია, დოყლაპიათა ხარჯზე იოლი გზით გამდიდრება.

საფუძველი? ამ ჭრელ დუნიაზე ბევი და დოყლაპია რას გამოუვლევია. ბევრის წარმოდგენაში, საშუალოდ, ახლაც ცოცხლობს რელიგიური გადმონაშთები, მისტიკური რწმენა, ვითომ ადამიანის ცხოვრებას ბოშავს ბარეგანი, უხილავი ძალები. ასეთების რწმენაში შელოცვები, მკითხაობა ერთგვარ შეღავათს აძლევენ მომაკვდავთ, დეენიან ავსულებს. თუმცა ბევრ მათგანს არა სწამს მკითხაობის, მაგრამ ცდუნებას აყოლილნი მახეში მაინც ებმებიან.

გაქნილი ქალი იყო რუზანა და ამა რა უნდა გამოჰპაროდა მის ცბიერ და მახვილ თვალებს. დრო რომ არ დაეკარგა, ყავა ბლომად მოიმარაგა, პატარა, მრგვალი მაგიდა სუფრით და ფიჯნებით დაამშვენა და პირველი „მოჯადოებული მერცხლის“ მოლოდინში წმინდანივით გაინაბა.

მერცხალს სრულებით არ ჰგავდა ახალგაზრდა, ფერმკრთალი და ფიქრში წასული გოგონა, რომელმაც ჯერ ფრთხილად დააკაკუნა რუზანას კარზე და ასევე ფრთხილად შეაბიჯა მის მოფარდაგებულ ოთახში, სადაც ხატები და წმინდანები პირდაპირ საწოლზე ესვენა.

„მოჯადოებულს“ ჯერ თვალის სიღრმეს გაუსინჯავდა, შუბლზე ნაოჭს დაუთვლიდა, მერე თვალს მილულავდა, რაღაც ლოცვის მაგვარს წაიბუტბუტებდა და მაგიდასთან მოკალათდებოდა, მოხარშული ყავით პირს ჩაიტკბარუნებდა, მერე ნალექიან ფინჯანს დაპირქვავებდა და მწუხარე კლიენტს პირჯვარს გადასწერდა.

— ხედავ, ეშმაკის თვალებს რომ ჰგავს? ეს ჯადოა. ის უნდა დაითრგუნოს.

და ჰყვებოდა ქადაგად დავარდნილი, რომ, რაკი ჯადოს ადგილსამყოფელს იღებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სარკის წინ თავისთავს დაკვირდა და შუბლში იტკიცა:

— ვაი, შე გლახა. ჭამა გინდა, მადა არ გაქვს! — რა გამოვა?

დაიფასა თავი რუზანამ, კლიენტთა რიგიდან მხოლოდ ის გამოსყავდა, ვისაც, მისი აზრით, ყველაზე მეტად ავიწროებდა ჯადო — უიღბლობა, უბარაქობა.

— ბოგდანოვა!

№ 9 სახლმმართველობის დამლაგებელ მ. ბოგდანოვას სიხარულისაგან გული აუჩუყდა და ლასლასით გაჰყვა „მხსნელს“. რუზანამ დამლაგებელს ქისაზე მიუთითა და შიგ სამი ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი, 1750 მანეთი ჩაალაგებინა და სანაცვლოდ ექვსი ცალი „ჯადოს ამხსნელი“ ნემსი საზეიმოდ გადასცა და ლოცვა-კურთხევით კარამდე მიაცილა გაბრიყვებული დოყლაპია.

ახალგაზრდა ქალიშვილი უიღბლობას, გაუთხოვრობას მოჯადოებას მიაწერდა, გულამოსკვნილი ტიროდა და შველას ითხოვდა. „უშველა“ ჯადოსაგან დაჩაგრულს ყოველისშემძლე მარჩილმა, ექვსი ნემსის საფასურად მას ორი ოქროს ბეჭედი, სხვა წვრილმანები და 100 მანეთი დაცალეს. ასე გაატარა ვ. მაქსუტოვმა რუზანამ და კიდევ ერთისთვის უნდა „აეხსნა“ იმ დღეს ჯადო, მაგრამ ლენინის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა ჯემალ გაბისონიამ და გამომძიებელმა კოტე მასლოვმა, რუზანას „აეთიელ საქმეებს“, რომლებმაც ესოდენ გამოარჩინეს თაღლითი დოყლაპიებში, საბოლოო წერტილი დაუსვეს.

ბ. ბვაძაბია.

იყიდება ისტორია

საქართველოს ისტორიისა და საისტორიო ფყაროების ფოგიერთი პრობლემა და ანტიკომუნიზმი

ანამედროვე მსოფლიოში დაძაბული იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობს. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მწვავე დაპირისპირების პირობებში სოვეტოლოგები სულ უფრო ხშირად აყენებენ იმპერიალიზმის სახელმწიფო აპარატის მაღალი რანგის თანამდებობებს და ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების როლში გამოდიან. ამის მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთის კვლევის ცენტრის დირექტორი, პროფესორი რიჩარდ პაიფსი შეიძლება მივიჩნიოთ. ნატოს წრეებში იგი „საბჭოთა კავშირის ავტორიტეტულ ექსპერტად“ არის მიჩნეული. ჩვეულებრივ კი „აკადემიური წრეებიდან გამოსული ჩამოყალიბებულ ანტიკომუნისტს“ უწოდებენ. როგორც ჩანს, სწორედ ამან მოახიბლა პრეზიდენტი რ. რეიგანი და რ. პაიფსი შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოში მაღალ თანამდებობაზე წამოიწია.

რაც შეეხება მის „აკადემიურობას“, შემდეგი უნდა ითქვას: თოქმის 40 წელია რ. პაიფსი სოვეტოლოგიაში საქმიანობს (1950 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის გენეზისი“), ფართოდ იყენებს მასალებს და ხელმისაწვდომ პუბლიკაციებს (სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის არქივებშიც უმუშავნია).

ჩვეულებრივ, რ. პაიფსის ნაშრომებს გამოყენებული ლიტერატურის დიდი ხუსხა ახლავს, მასში შეტანილია ბევრი დასავლელი ავტორის, რუსი ემიგრანტის, სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტების, მათ შორის მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების სამსახურში მყოფი გამცემლების ნაშრომები. 40-იანი წლების დასასრულს, როდესაც რ. პაიფსი თავისი მასწავლებლის მ. კარპოვიჩის მეთვალობით ჯერ კიდევ იწვრთნებოდა ანტისაბჭოურობაში, ჰარვარდის რუსეთის კვლევის ცენტრმა ეგრეთ წოდებული გადადგილებული პირების, არსებითად კი სამშობლოს მოღალატეების, გამოკითხვა მოაწყო და მათი ჩვენებანი შემდგომში, უკვე პროფესორ რ. პაიფსისათვის, დოკუმენტურ მასალად, პირველწყაროდ იქცა. მაგრამ მალე იგრძნო, რომ ასეთი დოკუმენტური თუ ლიტერატურული ბაზა ბურჟუაზიული სოვეტოლოგიისათვის ტრადიციულია და აშკარა ტენდენციურობის და ფაქტების უხეში ფალსიფიკაციის გამო — საკმაოდ სახელგატეხილიც. ამან განაპირობა ის, რომ სოვეტოლოგებს შორის რ. პაიფსი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც მეტი დამაჯერებლობის მიღწევის მიზნით მიმართავს და იყენებს საბჭოთა პუბლიკაციებს. მაგრამ ამას უაღრესად თავისებურად, ტენდენციურად აკეთებს. მაგალითად, იგი ძირითადად მასალას იყენებს 20-იანი წლების დამდგარს საბჭოური გამოცემებიდან, ვინაიდან სწორედ მაშინდელ პუბლიკაციებში მოიპოვება ცნობები ანტისაბჭოურ ნაციონალისტურ მოძრაობებზე, ეროვნულ რაიონებში საბჭოთა მშენებლობის პროცესში არსებულ გადარიგებზე და სხვა. ამ სახის ლიტერატურიდან რ. პაიფსის განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენი პარტიის შიერ განადგურებული ნაციონალ-უკანონისტების შრომები იმსახურებენ.

უმთავრესად ასეთია მეცნიერული აღჭურვილობა, რომლითაც ფერ ორმოცი წელია პროფესორი რ. პაიფსი თავგამოდებით უტევს საბჭოთა წყობილებას, საბჭოურ ეროვნულ პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას. მაგრამ მის ხელთ კიდევ ერთი ისტორიული მასალა, უფრო სწორად, მთელი ისტორიული არქივი, რომლის გამოც ჩვენ, ქართველ ხალხს, განსაკუთრებული ანგარიში გაკეთებს პროფესორ რ. პაიფსთან. სამე შეეხება საქართველოს მენშევიკური თავგრობის არქივს, ესე იგი ჩვენი ქვეყნის ოთხწლიანი (1917-1921) ისტორიის პირველწყაროებს, რომლებშიც საქართველოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური ვითარება და გარეშე ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობაა ფიქსირებული. როგორ მოხვდა ქართველი ხალხის საკუთრება, მისი ისტორიის საარქივო წყაროები ოკეანის გაღმა, ამერიკელი პროფესორის მეურვეობაში? უკანონო კანონით, უუფლებო უფლებით!

მიეხეღოთ ფაქტებს. კატასტროფამდე მისულმა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დანაშაული ჩაიდინა. 1921 წლის თებერვლის მიწურულს და მარტის დამდეგს უცხოეთში გაიტანა ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის ძეგლები: I. საქართველოს მუზეუმებში დაცული ბანძი; II. სახაზინო ქონება, რომელსაც ბენშევიკები თავის კუთვნილ „სავალუტო ქონებად“ მიიჩნევდნენ და ზოგიერთი მონაცემით, 2.230 კილოგრამ ოქროვერცხლს შეიცავდა; III. სახელმწიფო არქივი, რომელშიც ქართველი ხალხის უახლესი ისტორიის საბუთებია დაცული. „განძეულის ოდისეა“ — კარგად არის ცნობილი: საბჭოთა სახელმწიფოს კეთილშობილური აქციებისა და პატრიოტი მეცნიერის, ექვთიმე თაყაიშვილის თავდადების წყალობით იგი სამშობლოს დაუბრუნდა. სათავისოო მიჩნეული ხაზინის ოქრო-ვერცხლი მენშევიკებმა „სათავისოდვე“ გამოიყენეს; რაც შეეხება არქივს, მისი ხვედრი გაცილებით უფრო რთული და სევდიანი აღმოჩნდა. არქივი 1970 წლამდე ქართველი ემიგრანტების გამგებლობაში იყო. 1971-1972 წლებში მისი გაყიდვის საკითხი დადგა, რაც ცნობილი გახდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. გადაწყდა მისი შესყიდვა და ქართველი ხალხის ისტორიის საბუთების დიდი კრებულის საბჭოთა საქართველოში დაბრუნება. საგანგებოდ ამ მიზნით საბჭოთა ხელისუფლებამ პარაზს მიაკლინა პოეტი-აკადემიკოსი ბრაყლი აბაშიძე. სამწუხაროდ, ამ მისიას წარმატება არ ეწერა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად იყო საჭირო თანხა გაეღო, მენშევიკებმა გახიზნული არქივის სამშობლოში დაბრუნება არ ისურვეს. და აი, აქ გამოჩნდა და თანაც ძალიან ენერგიულად გამოჩნდა პროფესორი რ. პაიფსი. იგი რამდენჯერმე ეწვია პარიზს, დაამყარა საჭირო კონტაქტები, მიაღწია გარიგებას და შეერთებული შტატების ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთის კვლევის ცენტრის სახელითა და ხარჯებით არქივი შეისყიდა მალე საბუთებმა შეერთებულ შტატებში, აღნიშნული ცენტრის საცავებში გადაინაცვლა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ მოხდა, რომ ქართველმა ემიგრანტებმა არ დაუშვეს არქივის სამშობლოში დაბრუნება და იგი გულარხეინად ჩააბარეს გადამთიელ კაცსა და უცხო ორგანიზაციას? სად გაქრა სამშობლოდან საფრანგეთს გახიზნული ჩვენი თანამემამულეების „პატრიოტული გრძნობები“? პასუხი სრულად ცხადია: გაძეძული მორეული ისტორიის უტყვი ექსპონატებია, რომელიც უნდა აალაპარაკო, ამაიტყველო და ასე ჩააყენო ისტორიის სამსახურში, არქივი კი მენშევიკების ხანას ეხება, თან მისი საბუთები თვითონ ლაპარაკობენ თავის თავზე, ნათელს ჰფენენ ისტორიულ ამბებს, ფარდას ხდიან უცნობ მოვლენებს. და აი, აქ „პატრიოტიზმმა“ უკან დაიხია, საქმეში ცივი პოლიტიკა ჩაერია, იგი გახდა მადომინირებელი. ემიგრანტებისათვის უმთავრესი საზრუნავი ის იყო, რომ არქივი არ ჩამდგარიყო ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის სამსახურში და ნთელი არ მოეფინა მენშევიკური მთავრობის ბევრი ნაბიჭისათვის, ბევრი „დელიკატური“ საქმისათვის. ამის გამო ამჯობინეს არქივი გადაეცათ სახელმწიფოსათვის, რომელიც საბჭოთა კავშირთან მწვავე იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ჭიდელშია.

პროფესორი რ. პაიფსიც „პირიანი კაცი“ აღმოჩნდა — ყველაფერს ღონობს, ოღონდ საბუთების შინაარსი არ გამომზეურდეს. ამ მიმართულებით ქართველი საბჭოთა მეცნიერების მიერ გადადგმული ნაბიჯები უშიდეგო აღმოჩნდა, და არამცთუ საბუთები ან მათი ასლები, არქივის უბრალო აღწერილობაც კი ვერ მივიღეთ. ქართველი ხალხის საკუთრება, მისი ქვეყნის ისტორიის საბუთები ამერიკელ პროფესორს ცხრაკლიტულში აქვს გამოკეტილი და, წარმოიდგინეთ, თვით ამერიკელ მეცნიერებაც კი არ აძლევს მათზე მუშაობის შესაძლებლობას.

ამგვარად წარმოიშვა აუგად სახსენებელი სიტუაცია, დამფიქრებელი ვითარება, მაგრამ ვითარება, რომელსაც ანალოგი აქვს და თანაც საქართველოს მსგავსი ეროვნული მეზობლის თურქეთის მაგალითზეა წარმოდგენილი, დიახ, ერთ მხარეს დაწინაურებული, ცივილიზებული, უმდიდრესი ამერიკის შეერთებული შტატები და მეორე მხარეს — განვითარებადი თურქეთი!

საქმე ის არის, რომ თურქეთის სიძველეთსაცავებში უამრავი ნარატიული წყარო და დოკუმენტი ინახება, რომლებიც არსებითი მნიშვნელობის ცნობებს შეიცავენ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ისტორიისათვის. იქ დაცულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის აღწერები („დავთრების“ სახით), ქართველი მეფეებისა და ათაბაგების, ოსმალო ფაშების თუ ვეზირების წერილები და არზები, რეალიციები და მოხსენებანი. ცნობილია ამ საბუთების მისამართებიც: თურქეთის მინისტრთა საბჭოს არქივი, თოფჭაფის სასახლე, სულეიმანიესა და ნური ოსმანიეს მეჩეთები, სტამბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ანკარის ეთნოგრაფიული მუზეუმი, თაფუსა და კადასტრის არქივი და სხვა (კ. აბულაძე). ამ პირველწყაროების გამოყენება ახალ სტიმულს მისცემდა და ალაღრმავებდა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებას. მაგრამ, რ. პაიფსის და მისი ქვეყნის ისტორიის საბუთები ამერიკელ პროფესორს ცხრაკლიტულში აქვს გამოკეტილი და, წარმოიდგინეთ, თვით ამერიკელ მეცნიერებაც კი არ აძლევს მათზე მუშაობის შესაძლებლობას.

სოფიაში დაცული ოსმალური საბუთების შესწავლა-კლასიფიკაცია გრძელდება და ამ მიმართულებით ჩვენი ორიენტალისტების მუშაობა უაღრესად პერსპექტიული ჩანს.

ასეთია შემთხვევითობა თუ კანონზომიერება, რომელთა წყალობით ოსმალური (ხაზს ვუსვამთ, ოსმალური!) წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის სამსახურში ჩადგა. რაც შეეხება ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთის კვლევის ცენტრის საცავებში გამოკეტილ ქართველი ხალხის საკუთრებას — ქართულ არქივს, იგი ჩვენთვის ხელმეუწვდომელია და პროფესორ რ. პაიფსის ცხრაკლიტული დღემდე გაუღებელი რჩება.

ახლა დრო დადგა პროფესორ რ. პაიფსის შემოქმედების ზოგიერთ ასპექტს შევეხოთ. თავიისი კარიერის დასაწყისშივე იგი წარმოგვიდგა, ვითარცა კაცი, რომლის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი პოლიტიკურ-პრაპაგანდისტულ თემატიკას, უწინარესად, გაბოროტებულ ანტისაბჭოურობას უკავია. მისი ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომი საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკას შეეხება. მასში რ. პაიფსი შეშფოთებას გამოთქვამს დასავლეთში დამკვიდრებული იმ აზრის გამო, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაწყდა ეროვნული საკითხი. ამ ჭეშმარიტების უარყოფას შეალია თავისი ძალები ამერიკელმა პროფესორმა, უფრო სწორი იქნება ვთქვათ — ფალსიფიკატორმა, რომელმაც ისტორიული ჭეშმარიტების უარყოფა თავის უმთავრეს საქმედ გაიხადა. სწორედ ამ თვალთახედვით ვით ინტერესებს მას ჩვენი რესპუბლიკაც — საქართველო. აი პროფესორ რ. პაიფსის ზოგიერთი „აღმოჩენა“, რომელიც ჩვენ შეგვეხება:

მისი აზრით, ყველა საფუძველი არსებობს იმის სათქმელად, რომ თავის მეზობლებთან შედარებით ქართველები უფრო მსუბუქად ეგუებიან საბჭოთა ხელისუფლებით გამოწვეულ ცვლილებებს, რაც ინტელიგენციის სახით წარმოდგენილი ქართული ელიტის ბუნებით შეიძლება აიხსნასო (?!). საბჭოთა ხელისუფლების ბოლშევიზმი, — განაგრძობს რ. პაიფსი, — საქართველო მთელ საბჭოთა კავშირში ყველაზე განვითარებული რესპუბლიკა იყო და ასეთად რჩება. მაგალითად, 1941 წელს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები საქართველოში ერთად აღებული; რესპუბლიკა სტუდენტების რაოდენობით თაც პირველ ადგილზეა. მაგრამ საქართველოს განვითარების მაღალი დონე „არ შეესაბამება“ მისი ეკონომიკის განვითარების „დაბალ დონეს“, რაც სოციალურ უკმაყოფილებას იწვევს და „კოლონიური თუ ნახევრადკოლონიური ხალხებისთვისაა დამახასიათებელი“.

ეს მსჯელობა ბურჟუაზიული პოპაგანდისათვის დამახასიათებელი ყბედობის კლასიკურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ სრულადაა გამოყენებული პრინციპი „ორი-სამზე“, ესე იგი მოიტანე სამი ობიექტური, რეალური ფაქტი, შემდეგ სათანადოდ დამუშავებული ორი ნატყუარი დაურთე და „ობიექტურობით“ მონუსხული მკითხველი სიცრუესაც ადვილად ირწმუნებს.

პროფესორი რ. პაიფსი საბჭოთა საქართველოს კულტურის დიდ წარმატებას აღიარებს, მაგრამ როცა საქმე ჩვენს ეკონომიკას ეხება, იგი განუვითარებლად, „კოლონიურ თუ ნახევრადკოლონიურად“ მიაჩნია (ა. ათანელიშვილი). ისმის კითხვა: როგორ „აღმოჩენა“ ეს, რომელიც ჩვენ შეგვეხება?

ეს ასეთია, ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული